№ 224 30 ღვინობისთვე, სამშაბათი 1866—1879 30 ღვინობისთვე, სამშაბათი № 224

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ...ემით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ... ცეროთი — 5 კპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დ საბეჭდაო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# განცხადება

ოთხშაბათს, 31 ღვინობისთვეს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება ტფილისის საზაფხულო თეატრში:

I

## ტიპით მოგზაურობა ლიტერატორთა

კომედია ორ მოქმედებად ზ. ანტონოვისა

II

## ცელქები

ხუმრობა-ვოდევილი ერთ მოქმედებათ

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 26 ოქტომბერს. დარწმუნებით ამბობენ, რომ ოსმალეთის ახალი სამინისტრო ხელ-ახლად უნდა შეიცვალოსო, ან საიდ-ფაშა მაინც უნდა გამოვიდეს ამ სამინისტროდამაო. სტამბოლში არეულობისა, რევოლიუციის შიშია და ამის გამო უცხო ქვეყნის ელჩები ახლავე ხმარობენ ღონის-ძიებას, რომ თავის სახელმწიფოს ქვეშევრდომნი, რომელნიც აქ ცხოვრებენ, დაიფარონ ამ რევოლიუციის დროს. ამბობენ, რომ ინგლისის აგენტები ფულს ურიგებენ ხალხსა და აჯანყებას უქადაგებენო. თუ ავსტრიამ სალონიკისაკენ გაგზავნა თავის გემები, ამ შემთხვევაში საფრანგეთი და იტალიაც აპირებენ ოსმალოს წყლებში თავის სამხედრო ფლოტის გაგზავნასა. მინისტრების რჩევამ გადაწყვიტა ურჩიონ ხონთქარს, რომ დაუყოვნებლივ შემოიღოს რეფორმები მცირე აზიაში და ევროპის საოსმალო პროვინციებში.

ოსმალეთის მთავრობამ მოახდინა განკარგულება, რომ გუშინის მაზრა ჩერნოგორიელებს დაეთმოს.

პეტერბურღი, 26 ოქტომბერს. „მმართებლობის მოამბეში" გამოცხადებულია ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალითაც ყველა ღენერალებს, ობერ და შტაბ-აფიცრებს, რომელნიც 5 ოქტომბერს 1854 წელს დაესწრნენ, როცა სებასტოპოლს პირველად დაუშინა მტერმა ზღვიდამ ყუმბარები, მიეცესთ დამატებითი ჯამაგირი იმდენივე, რამდენიც ჩინის-და-გვარად იმ დროს ჯამაგირად ჰქონდათ.

სარაევო, 25 ოქტომბერს. ვირტემბერგის ჰერცოგმა გახსნა აქ რეალური გიმნაზია და სამხედრო პანსიონი ყმაწვილებისათვის.

ვენა, 26 ოქტომბერს. ავსტრია და გერმანია დათანხმდნენ ერთმანეთში იმის თაობაზედ, თუ როგორ იმოქმედონ ოსმალეთის შესახებ, და ახლა ინგლისთან აქვთ ამ საგანზე მოლაპარაკება. საფრანგეთი ამათ მოქმედებაში მონაწილეობას არ იღებს.

მართალი გამოდგა ის ამბავი, რომ ინგლისი თხოულობს ოსმალეთისაგან ნავსადგურების დათმობას შავს ზღვაზე, ტრაპიზონის მახლობლად.

ლონდონი, 26 ოქტომბერს. გაზეთს „ტაიმსში" დაბეჭდილია: ოსმალეთის ელჩმა მუსურუს-ფაშამ უთხრა ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს მარკიზ სალისბერის, რომ ოსმალეთი გარეშე ქვეყნების შესახებ თავის პოლიტიკას არ შესცვლის, რომ ხონთქარს მხურვალედ ჰსურს დაპირებული რეფორმები შემოიღოს თავის ქვეყანაში და რომ კარგი იქნებოდაო, ბეკკერ-ფაშა დაინიშნოს სომხეთში ჟანდარმის ჯარის უფროსად; სულთანს იმედი აქვსო, რომ ინგლისის სამხედრო ფლოტის მიახლოვება სტამბოლთან საჭიროდ აღარ დარჩებაო. სალისბერიმ უპასუხა ამაზე, რომ ოსმალეთის მთავრობას ერთობ ცუდათ მიჰყავს გამგეობის საქმე და იმიტომ ინგლისს მოთმენა აღარ შეუძლიან. ოსმალეთი ნაწილ-ნაწილად უნდა დაიყოსო, სთქვა სალისბერიმ; ბრიტანიის მმართებლობა საქმის გაკეთებას თხოულობს და არა ცარიელ სიტყვასა და დაპირებას; მაგრამ, რადგან ოსმალეთის ელჩი გვაიმედებს, ამის გამო ცოტა ხანს ინგლისი კიდევ მოითმენს.

## პეტერბურღის ბირჟა, 26 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — | 94 | „ |
| მეორე — — — — | 93 | „ |
| მესამესი — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 62 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | „ | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7 | 81 |
| გირაოს ფურცელი — | „ | „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 230 | 50 |
| მეორე სესხის — — | 224 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 18 | პენსი |
| გამბურღი — — | 216 | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268 | „ | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

# საქართველო

## ტფილისი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" მიუღია თავის ზედამხედველობის ქვეშ ქუთაისის საზნაურო შკოლა, რომლის დაარსება შარშანდელმა ქუთაისის თავად-აზნაურთა კრილობამ გადაწყვიტა და რომლისთვისაც იმან თავის ბანკის წმინდა შემოსავლიდამ რვა ათასი მანეთი დანიშნა. შევიტყვეთ აგრეთვე, რომ შკოლას ამ მოკლე ხანში გახსნის ქუთაისში ხსენებულ საზოგადოების ერთი წარმომადგენელთაგანიო.

*** ბათუმიდამ იწერებიან გაზ. „კავკაზში," რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ახალი სამზღვარის თაობაზე დანიშნულ დელეგატებს ამ ოქტობრის თვის 23-ს ჩაუვლიათ პირველი სამზღვრის სვეტი (ყოროლუნი) ზღვის ნაპირზე კოპმუშში.

*** გასრულ შაბათს, როგორც გამოცხადებული იყო, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში გაიხსნა

უფ. ბუშენის მლადიკავკაზის ბაღიდამ ხილის გამოფენა. როგორც ეტყობა, უფ. ბუშენის კარგათ უვლის თავის ბაღის ხილსა და ამიტომ შესახედავათ ლამაზია; გემოთი კი არ ვიცით. მაგრამ იმერეთისა და განსაკუთრებით ახალციხის მაზრის ზოგიერთი მხრის ხილი ამ გამოფენილზე ბევრად უფრო დიდიც არის, არც სილამაზით დაუვარდება და ძალიან გემრიელიცაა.

*** ჩვენს გაზეთში და საზოგადოთ თფილისის ყველა გაზეთებში ხშირად იყო ხოლმე დაბეჭდილი საჩივარი ჩვენს ბაზარნიკებზე და სავაჭრო პოლიციაზედ, რომ მომატებული წაწილი იმათგანი უკანონოთ იქცევიან, ქრთამს ღებულობენო, სოფლის ხალხს აწუხებენო, ტაქციის შესრულებას სრულებით არ აქცევენ ყურადღებასაო და სხვ. და სხვ. ამ საჩივარს, როგორც ეტყობა, ვერ გაუჭრია; ქვემო მოყვანილი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ეს ბაზარნიკები ახლაც ისე იქცევიან, როგორც ადრე:

ერთი ვიღაც იწერება გაზ. „კავკაზში,“ რომ ამ თვის 22-ს ავლაბარში ვიყავიო და ერთს ჩემს ნაცნობს გლეხს, რომელსაც ურმით ღვინო ჩამოეტანა გასასყიდლად, ველაპარაკებოდი. ამ დროს მოვიდა ამასთან ბაზრის ზედამხედველი და რაღაც ხარჯი ორი მან. მოსთხოვაო. გლეხმა უჩვენა ქაღალდის ნაკუწი და უთხრა, კვიტანცია მაქვსო, გარდავიხადეო. ამის შემდეგ ბაზარნიკი მოშორდა ამას და სხვებთან მივიდაო. როცა ამ გლეხს ვკითხე—თუ რა ხარჯი გთხოვა-მეთქი, ამიხსნა, რომ კვირაში ორ მანეთს გვახდევინებს ყველა გლეხებს ურემზედაო, უამისოთ არ გვიშვებს ღვინო გავყიდოთო. კვიტანცია უბრალო რაღაც ქაღალდი იყო, ხელით ეწერა ზედ, დავთრიდამ არ იყო ამოჭრილი. იმ ქ. მაღ 17 ურემი ღვინო იდგა იქ, თითოეულს თუ კვირაში ორ მანეთს ახდევინებს, თვეში 136 მანეთი შესდგება. „ნეტა სად მიდის ეს ფული? რამდენათაც ჩვენ ვიცით, სოფლიდამ შემოტანილ ხორაგზე არაფერი გადასახადი არ არის დადებული. მაშ ვის ჯიბეში მიდის ეს ფული?“

ჩვენც ვკითხულობთ:—ნეტა სად მიდის, ვის ჯიბეში მიდის ეს უკანონოდ გადახდილი ფული?

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისის საქალებო გიმნაზიის მასწავლებელი-ქალისაგან ვბეჭდავთ, თუმცა უფრო სასურველი იქნებოდა, რომ ამ გვარი წიგნი თვითონ ამ გიმნაზიის მთავრობისაგან მოგვსვლოდა:

„ჭეშმარიტათ მიკვირის, რა აიძულებს ზოგიერთებს ნამდვილ ამბის გაუგებრათ კალმის ხელში აღებას და უკუღმა გადაბრუნებულათ ამბების მოთხრობას!

გუშინ „დროების“ № 218-ში ამოვიკითხე ქუთაისის საქალებო გიმნაზიის შესახებ ამბავი, რომ ვითომც აქაურ მთავრობას მოსწავლე ქალებისათვის მოეთხოვოს მაღალ ქუსლიანი პოლუსაპოჟკები და კალოშები, ახალი კაბები, ძვირფას ყდიანი წიგნები და სხვა და სხვა..

„მიკვირს ასეთი გიმნაზიის მთავრობის ვითომც მოთხოვნილებაები საიდამ გამოიგონა ამის დამწერმა!

„ნუთუ ერთი-ორი ქალის სიტყვას, რომელთაც ალბათ მოუნდათ მაღალქუსლიანი პოლსაპოჟკებით და ძვირფას ყდიანი წიგნებით თავის გამოჩენა ამხანაგებთ შორის, და მშობლებს ამაზე უარი რომ არ ეთქვათ, გადააბრალეს გიმნაზიის მთავრობას, უნდა დაუჯეროთ ისეთი ამბავი, რომელიც უნდა უამბოთ „დროების“ მკითხველებს?

„ერთად-ერთი მართალი ამ წერილში არის ის, რომ მოსწავლეებს ურჩიეს კლიონკის შლიაპების ტარება; მაგრამ აქ რა არის ძნელი? უმეტეს ნაწილს ისეთი შლიაპები ჰქონდათ, რომ 3 და 4 მანეთის ნაკლებ არ იშოვება და კლიონკის შლიაპა კი ღირს სამი აბაზიდამ მანეთამდის. ამ ადგილსაც უმატებს ამ ამბის მომთხრობელი: ამბობს—„ვიღაც ვაჭრისთვის მოუტანინებიათ შლიაპებიო,“ როდესაც გიმნაზიის მთავრობას ფიქრათაც არ მოსვლია „მოტანინება.“ ეს დასკვნა ალბათ იქიდამ გამოუყვანიათ, რომ მოსწავლეების კითხვაზე:—სად შეიძლება შლიაპების ყიდვა?—რამდენიმე მაღაზიაზე აჩვენეს-ალბათ, იქ იშოვითო.

„ბაშლაყებიც ურჩიეს ძალიან უბრალო და იაფი ფასისა.

„რაც შეეხება დანარჩენს: ახალ-ახალი კაბებისა, მაღალ ქუსლიანი პოლსაპოჟკების და კალოშების, ახალი და ძვირფასი ყდიანი წიგნების და საწერლების მოთხოვას,—სულ ტყუილია. პოლუსაპოჟკებზე იმათ ყურადღება არაოდეს არ მიუქცევიათ, აგრეთვე ძვირფას ყდიან წიგნებზე. წმინდათ გეცვათ და წმინდათ გქონდესთ სასწავლო ნივთებიო—ეს რომ უთხრან მოსწავლეებს, მგონი არ უნდა იყოს გასაკვირი: ეს მათი პირ-და-პირი მოვალეობაა.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

შორაპანი, 17 ოქტომბერს. საშინლად მატულობს ჩვენს მხარეში ქურდობა და ავაზაკობა; დღე ისე იშვიათად გაივლის, რომ არავის დაეცნენ და ფული, ცხენი, ხარი, ძროხა, ანუ სხვა რაიმე პირუტყვი არ წაართვან.

ზოგიერთები ღამით კიდეც აღარ კადრულობენ ქურდობას, დღისით ხვდებიან გზებში და ცარცვენ ხალხს.

საქმე ისე მიდის, რომ თუ ისევ ხალხმა არ იხმარა რამე ღონისძიება, ეხლანდელის სუდებით და პოლიციებით კი არა ათი ამოდენი შტატები რომ მიუმატონ, მაინც არ მოისპობა გახშირებული ქურდობა.

ორი კვირა იქნება მას შემდეგ, რაც ერთს მღვდელს ღამე ხელიდამ წაართვეს ცხენი.

ერთს აზნაურიშვილს დაეცნენ ღამე მძინარეს, გაალვიძეს, ცხენის უნაგირი თავის ხელით მოატანინეს, შეკაზმის დროს სანთელი ცხენის პატრონს დააჭერინეს და როდესაც [illegible], კიდევ ფულიც მოსთხოვეს, ბევრის უარის შემდეგ, ის კარგათ მიზილეს, ფულიც წაიღეს და ცხენიც წაიყვანეს!

ორმა გლეხმა დაბა ყვირილაში ორი საპალნე პური გაყიდეს, ცხენები მინდორში გაუშვეს საძოვრად, თითონ პურის ჭამათ ისხდნენ დღისით, გამოვარდა ორი ავაზაკები ტყიდამ, წაართვეს ეს ცხენები და გაუდგნენ გზას.

ერთს გლეხს შეუვარდნენ ღამით სახლში; როდესაც 100 მანეთი მოიპარეს და ქურდი მიდიოდა კარებისაკენ, გაიგო სახლის პატრონმა, იშიშვლა ხანჯალი და სუკი სულ მიაჩხა; იქაც და გზაზედაც ბევრი ღვარა სისხლი მაგრამ მაინც ქურდის მოძებნას არაფერი გაეწყო.

სხვა რამოდენი ამისთანაები ხდება იმისი აღწერა ვის შეუძლია?

ამ თვის 7-ს მოვიდა მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ეფიმოვსკი სოფლის ძლდეეთის კანცელარიაზედ, საცა იყვნენ შეკრებილნი ამ საზოგადოების აზნაურნი და გლეხნი, და გამოუცხადა კრებას, რომ მმართებლობა ცდილობსო, რომ მშვიდობიანობა და მყუდროება იყვეს ხალხშიო, არ იყვეს ავაზაკობა, ქურდობა და მოტაცებაო; მაგრამ უკეთუ თქვენც არ მოეხმარეთ და არ იხმარეთ ადგილობრივ ღონისძიება და საშუალება, ამ უბედური საქმის მოსპობა ისე შეუძლებელი არისო. ამისათვის მე თქვენ გირჩევთ, გამოარჩიეთ რაიმე საშვალება, რომ ეს ქურდობა მოისპოსო.

ხალხმა უპასუხა: ჩვენ მეტი ღონე აღარ გვაქვსო, იქამდის ვართ შევიწროებულნი, რომ ცხოვრება გვიჭირსო. თუ შეიძლება გვიშუამდგომლეთ მმართებლობასთანო, რომ გვექნეს ნება ქურდი აზნაურების გადასახლებისა რუსეთში საცხოვრებლად, ჩვენის გზის ხარჯითო. თუმცა გლეხებს გვაქვს სიმართლე გლეხების გაგზავნისა, მაგრამ, რადგან აზნაური თავისუფალია ამ სასჯელისაგან, ამისათვის მარტო გლეხების დასჯით ეს საქმე არ მოისპობაო. აზნაურები არიან მიზეზი გლეხების ქურდობისაო, თორემ გლეხები ამოდენს ვერ გაბედავენო.

ამაზედ მაზრის უფროსმა უთხრა, რომ მე არ შემიძლიან ლაპარაკი აზნაურზედ ვიქონიოვო, რადგან ის ექვემდებარება უმაღლესის მმართებლობის გარდაწყვეტილებასო.

შემდეგ გარდასწყვიტეს, ვინემდის ამ ზემო თქმულზედ რამე განკარგულება იქნებოდეს, დაწესდეს ხალხში ამორჩეული საიმედო პირნი „ხევის-თავები“, რომლებიც აზნაურისა და გლეხისაგან ყოველ სოფელში აირჩეს ოთხ-ოთხი კაცი. რაისათვის შეადგინეს შემდეგი განჩინება:

1) დაუყოვნებლივ ავარჩიოთ ჩვენ შორის აზნაურნი და გლეხნი საკმაოდ რიცხვი ხევის-თავები, რომელთაც მიენდოსთ დაფარვა საზოგადოებისა ქურ-

დობისა და ავაზაკობისაგან.

2) ყარაულები ხალხისაგან დაავდგენოთ ყოველ ღამე, ყოველს სოფელში; ამათი ზედამხედველობა მიენდოსთ ხევის-თავებს. დამნაშავე აღუსრულებლობისათვის ამა ვალდებულებისა და უარის მთქმელი უნდა წარუდგინოთ სასამართლოს ჯარიმის გარდასახდელად.

3) აზნაურნი და გლეხნი, მოთხოვნისამებრ ხევის-თავებისა, ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ მათთან, სადაც ექმნებათ ნაჩვენები, დასაჭირავად ქურდებისა, ავაზაკებისა და საზოგადოდ შენიშნულის პირებისა; არაღმასრულებელს ამისა გარდახდეს ჯარიმა მიროვის სუდისაგან.

4) ხევის-თავები ვალდებულნი არიან დაიჭირონ ყველა შენიშნულნი პირნი; ამისათვის აქვსთ სიმართლე: შევიდნენ ყოველს ეზოში და სახლებში და თუ საჭიროთ ნახვენ, გაჩხრიკონ სახლები დასაჭირავათ ქურდებისა და სხვა შემთხვევისათვისაც.

5) ხევის-თავები ვალდებული არიან, რომ საზოგადოებაში არავის შემოაყვანინონ პირუტყვი ფასასყიდლად ანუ თავისათვის, თვინიერ საბუთისა დამოწმებულისა ნოტარიუსის, ანუ უეზდის პოლიციისაგან; მოწმობა, მიცემული სოსოფლო სუდიებისა ანუ მამასახლისისაგან, არ მიიღება. ვინც მოიყვანს რაიმე პირუტყვს გარეშე ზემოთქმულის საბუთისა, ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გარდასცენ ხევის-თავებს, სანამ ერთის თვის განმავალობაში, არ იქნება წარმოდგენილი მეპატრონისაგან, ზემოხსენებული საბუთი, ანუ მოწმობა კანონიერ კუთვნილობისათვის პირუტყვისა.

6) ამნაირად დაჭერილი ანუ ჩამორთმეული საეჭვო პირუტყვები უცნობი პირისაგან, ანუ ნაცნობისაგანაც, თუ არ წარმოადგინეს კანონიერი საბუთები, შემდეგ კონიერი ვადის განვლისა, უნდა გაჰყიდონ საზოგადო ვაჭრობით და ერთი მესამედი მიღებულის ფასისა წარდგინდეს პრიკაზში, მეორე მესამედი იქმნეს ხევის-თავების სასარგებლოდ და მესამე მესამედი იქმნეს სასარგებლოდ საზოგადოებისა.

7) ხევის-თავები ემორჩილებიან ბრძანებას და განკარგულებას პოლიციისას და თვით ისინი შეადგენენ სასოფლო პოლიციას. დაჭერილი პირნი, ანუ ნივთები იმათ დაუყოვნებლივ უნდა გარდასცენ უეზდის პოლიციას, სიის შესადგენად ნივთებისა და გარდასაცემლად დამნაშავისა სასამართლოს გამოძიებაში და მოსაძებნათ მეპატრონისა.

8) ხევის-თავები შეუსრულებლობისათვის თავიანთის ვალდებულებისა და უწესო მოქცევისათვისაც მიეცემიან სუდის წესით პასუხის გებაში, თანასწორ სასოფლო თანამდებობის პირისა, ანუ სასოფლო პოლიციისა.

9) უკეთუ საზოგადოებაში მოხდება ქურდობა ნივთისა, ანუ პირუტყვისა, ხევის-თავები დაუყოვნებლივ მიიღებენ ზომას მოძებნისათვის დამნაშავისა; ყველა მცხოვრებელი ვალდებული არის აღმოუჩინოს მათ ამაში თავის შემწეობა, საშუალება და ღონისძიება. თუ ოთხის თვის განმავალობაში დაკარგული ქონება არ იქნება მოძებნილი და ქურდი ნაპოვნი, ამ შემთხვევაში მეპატრონე დაკარგულისა, უნდა იქმნეს დაკმაყოფილებული სადირალი ფასით ყველა მცხოვრებლებისაგან, აზნაურის, გლეხის და სხვა წოდებისაგანაც; არავის არა აქვს სიმართლე უარი სთქვას ამის გარდახდაზე და ეს გარდასახადი უნდა იქმნეს მოგროვებული პოლიციისაგან.

10) საზოგადოთ პოლიციის ანუ საზოგადოების განჩენის განკარგულებაზედ, არავისაგან ხელმოწერილი პირისაგან საჩივარი არ მიიღებოდეს,

და 11) თუ ვინიცობაა რომელიმე პირი ტყუილს განაცხადებს, რომ მას მოჰპარეს რაიმე და აღმოჩნდება, რომ მას არა დაჰკარგვია-რა და უმართლოდ ჰსურდა მიელო საზოგადოებისაგან ფასი, ის პირი მიეცემა სუდის წესით პასუხის გებაში და იქნება დასჯილი სისხლის სამართლით.

„ვსთხოვთ უეზდის უფროსს განჩინება ესე წარადგინოს უმაღლესს მმართებლობასთან დასამტკიცებლათ".

ამაზედ მოაწერეს ხელი და დანიშნეს ხევი-თავები.

მაზრის უფროსი დაჰპირდა ხალხს, რომ ის დაივლის ყველა სოფლის საზოგადოებას ამ საქმისათვის, გამოუცხადებს ხალხს, შეაგონებს და მანაც შეადგენინებს ამ ნაირს განჩინებას და შემდეგ წარადგენს ღუბერნატორთან დასამტკიცებლად.

რომ მაზრის უფროსები მართლა მიიღებდენ შრომას, შეაგონებდნენ საზოგადოებას და ეს წესები დადგინდებოდეს ყოველგან ჩვენს ღუბერნიაში, მე დარწმუნებული ვარ ქურდობა მოისპობა; აგრეთვე აზნაურებსაც რომ ნება ექნებოდესთ, ქურდს აზნაურებს თავ-თავის საზოგადოებაში შეუდგინონ განჩინება და თავისი ღირსებით გარდაასახლონ.

ამ წესის შემდეგ ერთიც აღარ გაიგზავნება ის პირები, ვინც ეხლა ქურდობენ, ყველანი თავის მოხელობას დასტოვებენ და მიწის მუშაობას ან სხვა რამ შრომას ხელს მოკიდებენ; ამითი ის ქურდებიც ბედნიერი იქმნებიან და ჩვენც.

მართალია, აზნაურებსაც დიდი ხანია აქვსთ უფლება, ღუბერნიის კრილობის დროს, აზნაურს უყარონ კენჭი და გაგზავნონ; მაგრამ ეს უნდა იქონიოთ სახეში, რომ ცენზი კენჭისათვის მეასედსაც არა აქვს აზნაურს და ვისაც აქვს, ზოგიერთი მათგანი ისე ზრუნავს გაჭირვებული ხალხის მდგომარეობის გაკეთილებისათვის, როგორც მე და შენ ჩინელი კაცისათვის, ისინი, არა თუ ცდილობენ საზოგადოებას მოაცილონ მავნებელი ხალხი, გაგზავნილსაც უკანვე თხოულობენ დასაბრუნებლად..

სპირიდონ ლეჟავა.

## წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის 220 №-ში კითხვა არის ჩამოგდებული იმ საზოგადოებაზედ, რომელიც ომიანობის დროს არსებობდა ტფილისში მეომართ ცოლშვილისათვის საზრუნველად.

ამ კითხვისათვის ჯერ გულითადი მადლობა შეიწირეთ ჩემგან,—რადგან ამდენი ხნის მდუმარება ამ საქმეზედ ყველაზედ უმეტესად მე მიმაჩნია სამძიმოდ და ახლა იქნება თქვენის მიზეზით მაინც გამოცხადდეს, რაც არას დროს არა ყოფილა დასამალავი.

და მერე ეს მოისმინეთ:

1877-ში რომ ომი გამოცხადდა, თან დაჰყვა უ მ ა ღ ლ ე ს ა დ დამტკიცებული დროებითი კანონი, რომლის ძალითაც იმპერიის ქალაქებში და გუბერნიებში უნდა შედგენილიყო მეომართ სახლობათათვის საზოგადოების მზრუნველობა.

იმავ 1877-ში, უფ. გუბერნატორის უწყებით და შემწეობით, ჩვენს ტფილისშიაც დაარსდა ეს მზრუნველობა და პირველმა საერთო კრილობამ თავისი გამგეობა შეადგინა.

თავსმჯდომარედ დამნიშნეს მე,
ჩემს ამხანაგად მ. ნ. კუჩაევი,
კასსირად ა. სტ. მატინოვი,
მეორე კასსირად ა. ა. შენინგი,
სეკრეტრად პ. ა. იზმაილოვი
და მეორე სეკრეტრად ლ. ნ. მოძალევსკი.

ხელმწიფა დიდმა მთავარინა ოლგა ფეოდოროვნამ კეთილინება და ეს მზრუნველობა თავისს უავგუსტესს მფარველობაში მიიღო. კვირისა-და-კვირის თავზედ მისს უმაღლესობას მიერთმეოდა ხოლმე ჩემგან გამგეობის მოქმედების ანგარიში.

ამ მოქმედებით ფულიც საკმაოდ მოგროვდა; შემწეობაც ბევრმა მიიღო და შეუწყვეტელი შრომა გვქონდა ყველას,—ა. ს. მატინოვს და პ. ა. იზმაილოვს უმეტესად,—რასაკვირველია ყველას უსასყიდლოდ, მანამდისინ ომიანობა გათავდებოდა და მზრუნველობაც თავის-თავად გაუქმდებოდა.

ფულის საგროვებლად დაბეჭდილი რვეულებიც იყო დარიგებული და ზანგანაკებიც, ესე იგი, კრუჟკებიც.

უეჭველია მე არ მომეთხოვება, რომ ზეპირათა ვსთქვა, ან ფული რამდენი მოგროვდა; ან როგორ იხარჯებოდა; დარჩა რამე თუ არა; თუ დარჩა, სად არის და რამდენი;—რვეულები და კრუჟკები რა იქნა, ისევ მოგვიბრუნეს თუ არა; რვეულებია შესწორებით რა აღმოჩნდა; კრუჟკები, საიდამაც ჩვენა გვქონდა ნათხოვნი, ისევ შევუბრუნეთ თუ არა და სხვ. და სხვ.?

საანგარიშო წიგნები კასსირების ხელში იყო; ყოველი მიწერ-მოწერა—სეკრეტრების ხელში და მანამდინ მე ქალაქიდამ გამოვიდოდი, ესე იგი ამ წლის 1 ივნისამდინ, ყოველთვის მპირდებოდნენ ჯეროვანი ანგარიშის შედგენასა

და გამოცხადებას და ჯერაც არსადარის.

ახლა მე თქვენივე გაზეთის საშუა-ლობით ვჰკითხავ იმათ, და განსაკუთ-რებით პ. ა. იზმაილოვს, როგორც პირველ სეკრეტარს,—რა მიზეზია, რომ დაწვრილებული ანგარიში საზოგადოებას აქამომდე არ გამოსცხადებია? თვითან მზრუნველობა ხომ დიდი ხანია დაი-შალა და აღარც იმისი გამგეობა არის მას აქეთ არსებაში.

დიმიტრი ყიფიანი.

სოფ. ქვიშხეთი, 26 ოქტომბერს.

# განცხადებანი

თფილისის ვაჭრების გამგეობა (კუპეჩესკი უპრავა), თანახმად უფ. თფი-ლისის ღუბერნატორის ნება-რთვისა, უმორჩილესად სთხოვს უფალთ პირვე-ლი და მეორე გილდიის ვაჭრებსა, მობ-რძანდნენ ამ ოქტომბრის 30-ს დილის 10 საათზე კუპეჩესკი უპრავის ზალაში, ისტამანოვის სახლებში, განსახილველად საზოგადო კრებაში უპრავის ანგარიშისა და განსასჯელად ზოგიერთ საქმეებისა, რომელიც ვაჭრობის საქმეს შეეხება.

(3—3)

ყმაწვილი კაცი ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურ-ველს შეუძლია თვისი ადრესი დასტო-ვოს „დროების“ რედაქციაში.

(5—5)

ყველა წიგნების მაღაზიებში თფილისში და ქუთაისში

ისყიდება

## თამარ ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი დრამა

გადმოკეთებული ა. მესხისაგან

ამ დღეებში გამოვა ვოდევილი

„მოდი და ენდე ქალსა!“

თხზულება მ. ზ. ჯორჯაძისა.

(5—3)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქ-ტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაია-ლი დვორების პატრონებს, რომ, თა-ნახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავლო-ბაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნი-ლებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტი-რებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დვორებს უპრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

## დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგი-ლებში:

თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, მარტიროსიანცის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,

ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლე-ბელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბ-ლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სას-წავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქექე-ლიასთან შკოლაში,

ო ზ უ რ გე თ ს: სასულიერო სასწავ-ლებელში,

ხ ო ნ შ ი: უფ. ჭალაგანიძესთან,

გ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელ-ში,

თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლე-ბელში და ხირსელოვის წიგნის მაღა-ზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. ქ. გალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

## ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებუ-ლი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიქუროვის წიგნის მა-ღაზიაში პოლიცის ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხრა შაურად, ხოლო ვინც ორმოც-და-თზე მომეტებულს წაიღებს ერ-თად ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზად.

(15—4)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გა-რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კა-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-სიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . | 3 |
| დაზღვეულის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 27 ოქტომბ. | — | — |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 55 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 65 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 11 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 65 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 25 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 14 | — |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მ. იდ., წინამძღვაროვ. ხახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარელევიჩი—შინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავ-ლევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-ბოევი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თს: ლისიცევი—ში-ნაგ , ასტვა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — ში-ნაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისი-ცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი — ვე-ნერ. და კანის; ბაბაევი — გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.; ყურ-ავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.